ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6203425

ნომერი: AR1932253

თარიღი : 03.11.2022

გაცემის თარიღი : 11.11.2022

გაცნობის თარიღი : 14.11.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დავით ჯაბიძის ქ., , N26-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით ჯაბიძე , N 15 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით ჯაბიძე , N 15 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ოქროპირიძე პ/ნ 35001052365
- რუსთავი, მე-17 მკრ, კორ. 17 ბ. 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 22 სექტემბრის №6101070 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 3

ნოემბერს №AR1932253 განცხადებით მომართა ლევანი ოქროპირიძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 22 სექტემბრის №6101070 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 22 სექტემბრის №6101070 ბრძანებით შეთანხმდა №01.11.10.013.331 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მაღაზიის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 22 სექტემბრიდან 2024 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 22 სექტემბრის №6101070 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში არასწორად არის მითითებული საპროექტო ობიექტი, კერძოდ „მაღაზიის“ ნაცვლად დაფიქსირებულია „ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლი“.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2022 წლის 21 ივნისის №AR1907819 განცხადებით მოთხოვნილ იქნა შეთანხმებული მაღაზიის არქიტექტურული პროექტის ცვლილება (კორექტირება).
სამსახურის 2022 წლის 22 სექტემბრის №6101070 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში საპროექტო ობიექტი არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 22 სექტემბრის №6101070 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 22 სექტემბრის №6101070 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში საპროექტო ობიექტად „ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლის“ ნაცვლად დაფიქსირდეს „მაღაზია“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 22 სექტემბრის №6101070 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 22 სექტემბრის №6101070 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.